მოწვევა კონფერენციის მოხსენებების წარმოსადგენად

მეორე საერთაშორისო კონფერენცია: „ბავშვთა უფლებების საკითხების ჩართვა საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამებსა და კურიკულუმებში“

23-24 სექტემბერი, 2021
შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო

1. ზოგადი ინფორმაცია

გაეროს ბავშვთა ფონდი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან პარტნიორობითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ეგიდით მართავს მეორე საერთაშორისო კონფერენციას საქართველოში, რომელიც ეძღვნება ბავშვთა უფლებების საკითხების ჩართვას საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამებსა და კურიკულუმებში, რათა გაჩნდეს სივრცე ბავშვთა უფლებების პრინციპების სწავლა-სწავლებისთვის, გაძლიერდნენ შესაბამისი სპეციალისტები და დაცულ იქნას ბავშვთა უფლებები ყოველდღიურად ოჯახებში, სკოლებსა და საზოგადოებაში.

ორდღიანი კონფერენცია თავს მოუყრის პროფესორებსა და სტუდენტებს, წარმომადგენლებს საქართველოს მთავრობიდან, პარლამენტის წევრებს, სახალხო დამცველის ოფისისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, საქართველოში დიპლომატიური კორპუსის წევრებს, წარმომადგენლებს გაეროს სააგენტოებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, აგრეთვე სკოლის მასწავლებლებსა და ადმინისტრატორებს.

ფორუმი წარმოადგენს სივრცეს დისკუსიებისთვის და ადგილობრივი და საერთაშორისო სპეციალისტების და სტუდენტურ კონკურსში გამარჯვებული სტუდენტებისა და სასკოლო პროექტების პრეზენტაციებისთვის. დისკუსიების ფოკუსი იქნება უნივერსიტეტების როლი ბავშვთა უფლებების ხელშეწყობასა და სოციალური ნორმების ზეგავლენაზე.

კონფერენციაზე უნივერსიტეტები წარმოადგენენ საკუთარ ინიციატივებს, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვთა უფლებების საკითხების ჩართვას საუნივერსიტეტო პროგრამებში ბავშვთა უფლებების მომავალი ადვოკატების მოსამზადებლად განათლების, სამართლის, ბიზნესის და სხვა მნიშვნელოვან სფეროებში.

კონფერენციის სამუშაო ენა არის ქართული და ინგლისური. კონფერენციაზე უზრუნველყოფილი იქნება სინქრონული თარგმანი.

ვიწვევთ დაინტერესებულ პირებს და სტუდენტებს კონფერენციის თეზისების და ესეების წარმოსადგენად; აგრეთვე სკოლებს - სასკოლო პროექტების წარმოსადგენად

კონფერენციის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ:

www.unicef.org/georgia , www.bsu.edu.ge და www.moecs.ge

შემდგომი ინფორმაციისთვის გთხოვთ დაუკავშირდეთ ნათია ჯოხაძეს, ელფოსტა: njokhadze@unicef.org და ანასტასია მშვიდობაძეს, ელფოსტა: amshvidobadze@unicef.org

2. კონფერენციის თემები

1. ბავშვთა უფლებების არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები საქართველოს უნივერსიტეტებში მომავალი პროფესიონალების მოსამზადებლად (მათ შორის საგანგებო სიტუაციების დროს);
2. საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკა ბავშვთა უფლებების სწავლებაში უნივერსიტეტებში;
3. ბავშვებისთვის მეგობრული საზოგადოება და ბავშვთა უფლებები: განათლებაში, სამართალში, ჯანდაცვასა და სოციალურ სერვისებში - ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკა;
4. ბავშვთა უფლებების კულტურის გაძლიერება.

კონფერენციის სესიები ორგანიზებული იქნება თითოეული თემის ირგვლივ და შეჯამდება პანელური დისკუსიებით.

3. თეზისების, სრული მოხსენებებისა და პრეზენტაციების წარდგენა

ჩვენ ვიწვევთ თეორიულ, ემპირიულ და პრაქტიკაზე დაფუძნებულ ნაშრომებს ბავშვთა უფლებების მრავალგანზომილებიან საკითხებზე და მათი საუნივერსიტეტო პროგრამებში ინკორპორირებაზე სხვადასხვა დარგში მომავალი პროფესიონალების მოსამზადებლად.

<u>ა. თეზისები</u>

- მონაწილეებს, ვისაც სურთ ზეპირი ან პოსტერის (სასტენდო) პრეზენტაცია კონფერენციაზე, ვიწვევთ თეზისების წარმოსადგენად.
- კონფერენციის თეზისები უნდა პასუხობდეს კონფერენციის თემებს და მომზადებული იყოს ქვემოთ მოცემული მოთხოვნების შესაბამისად.
- თეზისის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 300 სიტყვას და წარმოდგენილი უნდა იყოს ვორდის (Word) ფაილში: თავსებადი ფონტები (Sylfaen, Calibri), ფონტის ზომა: 11 (სათაურებისთვის დასაშვებია ფონტის ზომა იყოს 12); მანძილი სტრიქონებს შორის: 1.5. გთხოვთ, თეზისებში არ გამოიყენოთ თემატური სურათები/გრაფიკები/ცხრილები. მათი წარმოდგენა შესაძლებელი იქნება პრეზენტაციებსა და სრულ მოხსენებებში.
- თეზისები უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
  - ავტორ(ებ)ის სრული სახელი და გვარი,
  - ავტორ(ებ)ის სამსახურის დეტალები: თანამდებობა/ები, დეპარტამენტი/ფაკულტეტი, ორგანიზაცია/უნივერსიტეტი, ქალაქი, ქვეყანა,
  - ავტორ(ებ)ის საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონის ნომერი და ელფოსტა,
  - კონფერენციის თემა/თემები, რომელსაც შეესაბამება წარმოდგენილი თეზისი (იხ. პუნქტი 2),
  - მითითება ზეპირი ან სასტენდო მოხსენების შესახებ,
  - მითითება დისტანციურ ან ადგილზე მონაწილეობაზე,
  - თეზისის სათაური,
  - საკვანძო სიტყვები,
  - თეზისი (ძირითადი ტექსტი).
- თითოეულ ავტორს შეუძლია წარმოადგინოს მაქსიმუმ 2 თეზისი.
- თეზისები, რომლებიც მიღებული იქნება კონფერენციაზე წარსადგენად, აღარ დაექვემდებარება ცვლილებას თეზისების წარდგენის ბოლოვადების შემდგომ.
- კონფერენციაზე წარსადგენად მიღებული თეზისები გამოიცემა კრებულის სახით.

კონფერენციის თეზისების წარდგენის ბოლო ვადაა 2021 წლის 20 ივლისი, 18:00 სთ (საქართველოს დროით). კონფერენციის თეზისები უნდა გაიგზავნოს კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტში შემდეგ ელფოსტაზე **<u>(ორივეზე)</u>:** <u>njokhadze@unicef.org</u> და <u>amshvidobadze@unicef.org</u> ელფოსტაში აუცილებლად მითითებული უნდა იყოს: „თეზისი - ბავშვთა უფლებების კონფერენცია“.

კონფერენციის სამეცნიერო საბჭო განიხილავს და შეარჩევს კონფერენციაზე წარსადგენ თეზისებს და დაუკავშირდება მათ ავტორებს არაუგვიანეს 2021 წლის 15 აგვისტოს 18:00 საათამდე (საქართველოს დროით).

<u>ბ. სრული მოხსენებები</u>

- კონფრენციაზე წარსადგენი შერჩეული თეზისების ავტორებმა უნდა წარმოდგინონ სრული მოხსენებები, მაქსიმუმ 10 გვერდის მოცულობით ვორდის (Word) ფაილიში: თავსებადი ფონტები (Sylfaen, Calibri), ფონტის ზომა: 11 (სათაურებისთვის დასაშვებია ფონტის ზომა იყოს 12); მანძილი სტრიქონებს შორის: 1,5. თემატური სურათები/გრაფიკები/ცხრილები შესაძლებელია იქნას გამოყენებული საკითხის უკეთ ილუსტრირებისთვის. დეტალური ინსტრუქციები სრული მოხსენებების წარმოსადგენად მიეწოდებათ შერჩეული თეზისების ავტორებს.

კონფერენციის სრული მოხსენებების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2021 წლის 10 სექტემბერი, 18:00 სთ (საქართველოს დროით). კონფერენციის სრული მოხსენებები უნდა გაიგზავნოს კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტში შემდეგ ელფოსტაზე **<u>(ორივეზე)</u>:** <u>njokhadze@unicef.org</u> და <u>amshvidobadze@unicef.org</u> ელფოსტაში აუცილებლად მითითებული უნდა იყოს: „მოხსენება - ბავშვთა უფლებების კონფერენცია“.

<u>გ. პრეზენტაციები</u>

- შერჩეული თეზისების ავტორებმა უნდა მოამზადონ პრეზენტაციები ფოვერ-ფოინთის (Power Point) ან სხვა საპრეზენტაციო პროგრამაში. დეტალური ინსტრუქციები პრეზენტაციების წარმოსადგენად მიეწოდებათ შერჩეული თეზისების ავტორებს.

კონფერეცნიის პრეზენტაციების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2021 წლის 10 სექტემბერი, 18:00 სთ (საქართველოს დროით). კონფერენციის პრეზენტაციები უნდა გაიგზავნოს კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტში შემდეგ ელფოსტაზე **<u>(ორივეზე):</u>** <u>njokhadze@unicef.org</u> და <u>amshvidobadze@unicef.org</u> ელფოსტაში აუცილებლად მითითებული უნდა იყოს: „პრეზენტაცია - ბავშვთა უფლებების კონფერენცია“.

4. კონკურსი სტუდენტებისთვის

კონკურსი სტუდენტებისთვის არის კონფერენციის ნაწილი და მისი მიზანია ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის სტუდენტების ჩართვას ბავშვთა უფლებების საკითხების გაგებაში, მხარდაჭერასა და ცნობიერების ამაღლებაში და აგრეთვე, ხელი შეუწყოს სტუდენტების იდეებს და მათ ჩართულობას ბავშვთა უფლებების განათლებისსფეროში.

კონფერენციის ორგანიზატორები ვიწვევთ სტუდენტებს მოამზადონ და გამოგვიგზავნონ ესეები კონფერენციის თემ(ებ)ის შესაბამისად. <u>ჩვენ ვიწვევთ ყველა სპეციალობის სტუდენტებს საქართველოს ყველა ავტორიზირებული უმაღლესი სასწავლებლიდან.</u> მონაწილეები უნდა იყვნენ სტუდენტის სტატუსის მქონე ბაკალავრიატის მე-4 კურსის ან მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტები.

ყველა ესეს ავტორი მონაწილე სტუდენტი მიიღებს მონაწილეობის სერტიფიკატს. კონფერენციის სამეცნიერო საბჭო შეარჩევს 3 საუკეთესო ესეს დაჯილდოვებისთვის. შერჩეული საუკეთესო 3 ესეს ავტორი მოწვეული იქნებაკონფერენციაზე მოხსენების წარსადგენად.

ესეების წარმოდგენა

ესეები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

- ესე უნდა პასუხობდეს კონფერენციის თემას/თემებს (იხ. პუნქტი 2);
- ერთ სტუდენტს შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი ესე;
- ესეს უნდა ყავდეს ერთი ავტორი;
- ესე უნდა წარმოდგენილი იყოს ქართულ ან ინგლისურ ენაზე (ან ორივე ენაზე);
- ესეს მაქსიმალური მოცულობა უნდა იყოს 10 გვერდი;
- ესე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: თავსებადი ფონტები (Sylfaen, Calibri), ფონტის ზომა 11 (სათაურებისთვის დასაშვებია ფონტის ზომა იყოს 12); მანძილი სტრიქონებს შორის: 1,5. ესე შესაძლოა შეიცავდეს თემატურ სურათებს/გრაფიკებს/ცხრილებს საკითხის უკეთ დემონსტრირებისთვის;
- ესე უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
  - სტუდენტის (ავტორის) სრული სახელი და გვარი,
  - ინფორმაცია: ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის წელი/კურსი, დეპარტამენტი/ფაკულტეტი, უნივერსიტეტი, ქალაქი,
  - სტუდენტის (ავტორის) საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონის ნომერი და ელფოსტა,
  - კონფერენციის თემა/თემები, რომელსაც შეესაბამება წარმოდგენილი ესე,
  - ესეს სათაური,
  - ესეს საკვანძო სიტყვები,
  - ესე (ძირითადი ტექსტი).
- ესეები, რომლებიც მიღებული იქნება კონფერენციაზე წარსადგენად, აღარ დაექვემდებარება ცვლილებას წარდგენის ბოლო ვადების შემდგომ;
- შერჩეული 3 საუკეთესო ესე გამოიცემა კონფერენციის თეზისების კრებულში.

კონფერეცნიის ესეების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2021 წლის 30 ივლისი, 18:00 სთ (საქართველოს დროით). კონფერენციის ესეები უნდა გაიგზავნოს კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტში შემდეგ ელფოსტაზე **(ორივეზე):** njokhadze@unicef.org და amshvidobadze@unicef.org ელფოსტაში აუცილებლად მითითებული უნდა იყოს: „ესე - ბავშვთა უფლებების კონფერენცია“.

3 საუკეთესო ესეს ავტორი გამოვლინდება არაუგვიანეს 2021 წლის 10 სექტემბერისა და გაეგზავნება მოწვევა კონფერენციაზე წარსადგენი მოხსენების მოსამზადებლად.

5. კონკურსი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის (სკოლებისთვის)

კონკურსი სკოლებისთვის არის კონფერენციის ნაწილი და მისი მიზანია ხელი შეუწყოს სკოლების გააქტიურებას ბავშვთა უფლებების საკითხების გაგებაში, მხარდაჭერაში, ცნობიერების ამაღლებასა და ყოველდღიურ პრაქტიკაში რეალიზებაში.

კონფერენციის ორგანიზატორები ვიწვევთ სკოლებს წარმოადგინონ პროექტები ორი მიმართულებით:

ა) ბავშვთა უფლებების სფეროში განხორციელებული ინიციატივები (2015-2021წ.წ.)
ბ) ბავშვთა უფლებების სფეროში დაგეგმილი ინიციატივები (რომელიც განხორციელდება არაუგვიანეს 1 წელიწადში 2021-2022წ.წ.)

პროექტის ჯგუფი უნდა შედგებოდეს მინიმუმ ერთი პედაგოგისგან/ადმინისტრაციის წარმომადგენელისგან და მოსწავლეებისგან. კონფერენციის ორგანიზატორების მიერ გამოვლენილი 5 საუკეთესო პროექტის ჯგუფი დაჯილდოვდება სპეციალური სერტიფიკატით და პრიზით და მოწვეული

იქნება კონფერენციაზე მოხსენების წარსადგენად. პროექტების კონკურსში მონაწილე ყველა ჯგუფს გადაეცემა მონაწილეობის სერტიფიკატი.

პროექტების წარმოდგენა

პროექტები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

- პროექტი უნდა ეხებოდეს ბავშვთა უფლებების თემებზე სკოლაში განხორციელებულ ან დაგეგმილ ინიციატივებს;
- ერთ სკოლას შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი პროექტი;
- პროექტის ჯგუფი უნდა შედგებოდეს მინიმუმ ერთი პედაგოგისგან/ადმინისტრაციის წარმომადგენელისგან და მოსწავლეებისგან;
- პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ან ინგლისურ ენაზე (ან ორივე ენაზე);
- პროექტი მომზადებული უნდა იყოს ვორდ (MS Word) ფაილში და აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: თავსებადი ფონტები (Sylfaen, Calibri), ფონტის ზომა 11 (სათაურებისთვის დასაშვებია ფონტის ზომა იყოს 12); მანძილი სტრიქონებს შორის: 1,5. პროექტი შესაძლოა შეიცავდეს თემატურ სურათებს/გრაფიკებს/ცხრილებს საკითხის უკეთ დემონსტრირებისთვის;
- პროექტი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
  - პროექტის ჯგუფის თითოეული წევრის სრული სახელი და გვარი, საკონტაქტო ტელეფონი და ელ-ფოსტა;
  - მასწავლებლის შემთხვევაში, საგნ(ები)ისა და კლას(ებ)ის მითითება; ადმინისტრაციის შემთხვევაში - დაკავებული თანამდებობის მითითება; მოსწავლის შემთხვევაში - კლასის მითითება;
  - სკოლის დასახელება, მისამართი, სკოლის საკონტაქტო ტელეფონი და ელ-ფოსტა;
  - პროექტის დასახელება, მითითება - პროექტი უკვე განხორციელდა (2015-2021წ.წ.) თუ იგეგმება მისი განხორციელება უახლოეს 1 წელიწადში (2021-2022 წ.წ.);
  - პროექტის აღწერა (მიზნები, აქტივობები, დაგეგმვა, მონაწილეები და ა.შ);
  - პროექტის თითოეული წევრის როლი პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში;
  - პროექტის ბენეფიციარები და პროექტის შედეგები (ვინ ისარგებლა/ისარგებლებს პროექტის განხორციელებით, რა შედეგები დააყენა/დააყენებს პროექტი);
  - საჭიროებისამებრ, სხვა დამატებითი ინფორმაცია პროექტის არსის უკეთ გასაგებად.
- პროექტები, რომლებიც მიღებული იქნება კონფერენციაზე წარსადგენად, აღარ დაექვემდებარება ცვლილებას წარდგენის ბოლო ვადების შემდგომ;
- შერჩეული 5 პროექტის ავტორთა ჯგუფმა უნდა მოამზადოს პრეზენტაცია შესაბამის ფორმატში კონფერენციაზე წარსადგენად;
- შერჩეული 5 საუკეთესო პროექტი გამოიცემა კონფერენციის თეზისების კრებულში.

პროექტების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2021 წლის 30 ივლისი, 18:00 სთ (საქართველოს დროით). პროექტები უნდა გაიგზავნოს კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტში შემდეგ ელფოსტაზე **(ორივეზე):** njokhadze@unicef.org და amshvidobadze@unicef.org ელფოსტაში აუცილებლად მითითებული უნდა იყოს: „პროექტი - ბავშვთა უფლებების კონფერენცია“.

5 საუკეთესო პროექტის ჯგუფი გამოვლინდება არაუგვიანეს 2021 წლის 10 სექტემბერისა და გაეგზავნება მოწვევა კონფერენციაზე წარსადგენი მოხსენების მოსამზადებლად.

6. ფინანსური ხელშეწყობა

კონფერენციის ორგანიზატორები დააფინანსებენ სხვა რეგიონებიდან მონაწილე შერჩეული თეზისების ავტორების, სამი საუკეთესო ესეს ავტორი სტუდენტისა და ხუთი საუკეთესო სასკოლო პროექტის ჯგუფის კონფერენციაში მონაწილეობის ხარჯებს (ტრანსპორტირება და სასტუმრო).

შემდგომი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით ნათია ჯოხაძეს njokhadze@unicef.org და ანასტასია მშვიდობაძეს amshvidobadze@unicef.org

ჩვენ გვჯერა, რომ კონფერენცია მონაწილეებისთვის მნიშვნელოვანი სივრცე იქნება, სადაც ისინი აქტიურად ჩაერთვებიან დისკუსიებში ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო კონტექსტში არსებული რეალობის, გამოწვევებისა და შესაძლებლობების თაობაზე.

გულითადად გიწვევთ შემოგვიერთდეთ და გელით ბათუმში!